ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 21 მარტი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №53

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოში მოქალაქეთა მიღების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 12 მარტის №52 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოში მოქალაქეთა მიღების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 12 მარტის №52 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ბრძანების 1-ელ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარისის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მოქალაქეთა მიღება ხორციელდება წინასწარ შეთანხმებით, საშვის (დანართი №1) დაშვების შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: ორგანიზაციის დასახელება, საშვის ნომერი, გაცემის თარიღი, მოქალაქის ვინაობა, შენობაში შემოსვლისა და გასვლის დრო, მიმღები (პასუხისმგებელი) პირის ვინაობა და ხელმოწერა.“

ბ) ბრძანების 1-ელ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარისის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) მოქალაქეზე (ებზე) საშვის გაცემა განხორციელდეს მოქალაქის პირადობის მოწმობის, პასპორტის ან სხვა ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ.“

გ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარისის №1 დანართი:

„№1 დანართი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
საშვი № ___
__ _____ ___ წ.
თარიღი
შემოვიდა __ სთ __ წთ
მოქალაქე _____
მიმღები _____
პასუხისმგებელი პირი:
წავიდა __ სთ _____
მიმღების ხელმოწერა: _____“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer